

2016 წელი

# აგრომეტეოროლოგიური ბიულეტენი

№34 / დეკემბრის პირველი დეკადა



გარემოს ეროვნული სააგენტო

# სარჩევი

დეკადის ძირითადი მეტეოროლოგიური თავისებურებანი.....	2
სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზამთრობისა და მინდვრის სამუშაოების ჩატარების აგრომეტეოროლოგიური პირობები .....	2
2016 წლის დეკემბრის პირველი დეკადის მეტეოროლოგიური მონაცემები.....	3
აღმოსავლეთ საქართველო.....	4
დასავლეთ საქართველო.....	13

## დეკადის ძირითადი მეტეოროლოგიური თავისებურებანი

დეკემბრის პირველი დეკადა ქვეყნის ტერიტორიაზე ძალზე ცივი და უხვნალექიანი ამინდით ხასიათდებოდა.

ჰაერის საშუალო დეკადური ტემპერატურა დასავლეთ საქართველოში მრავალწლიურ მაჩვენებელზე  $6^{\circ}$  -ით, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში  $2-4^{\circ}$  -ით დაბალი აღმოჩნდა, გარდა დედოფლისწყაროს, ლაგოდეხი და ყვარლისა, სადც ის ნორმასთან ახლოს იყო და შეადგინა:  $3-5^{\circ}$  დასავლეთ საქართველოს დაბლობში,  $-1; -2^{\circ}$ ; დასავლეთ საქართველოს მთებში,  $-1; 4^{\circ}$  აღმოსავლეთ საქართველოს ბარში,  $-2; -7^{\circ}$  აღმოსავლეთ საქართველოს მთიან და მაღალმთიან რაიონებში.

ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა დასავლეთ საქართველოში  $7-12^{\circ}$ -ი შეადგინა, გარდა ხულოსი, სადაც ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა  $-1^{\circ}$  იყო. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში  $6-13^{\circ}$ , აღმოსავლეთ საქართველოს მთიან და მაღალმთიან რაიონებში  $2-4^{\circ}$  -ის ფარგლებში მერყეობდა.

ჰაერის მინიმალური ტემპერატურა დასავლეთ საქართველოში  $-2; -13^{\circ}$ , აღმოსავლეთ საქართველოს ბარში  $-3; -16^{\circ}$  ; აღმოსავლეთ საქართველოს მთიან და მაღალმთიან რაიონებში  $-14; -21$ -ის შუალედში ფიქსირდებოდა.

ნალექები განვლილ დეკადაში დასავლეთ საქართველოში  $7-10$ , აღმოსავლეთ საქართველოში  $2-6$  დღის განმავლობაში მოდიოდა და მათი ჯამი ასე განაწილდა:  $73-170$  მმ (მრავალწლიური ნორმის  $202-278\%$ ) დასავლეთ საქართველოში,  $9-55$  მმ (მრავალწლიური ნორმის  $67-366\%$ ) აღმოსავლეთ საქართველოში. მთიან რაიონებში ნალექი თოვლის სახით მოდიოდა და დეკადის ბოლოს თოვლის საფარის სიმაღლე  $5-125$  სმ იყო.

ძლიერი ქარი ( $15$  მ/წმ და მეტი სიჩქარით) ქროდა  $1-6$  დღის განმავლობაში ქვეყნის ცალკეულ რაიონში.

## სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზამთრობისა და მინდვრის სამუშაოების ჩატარების აგრომეტეოროლოგიური პირობები

**დასავლეთ საქართველოში** ნალექიანი ამინდი ხელს უშლიდა მინდვრის სამუშაოების ჩატარებას.

**აღმოსავლეთ საქართველოში** საშემოდგომო მარცვლეულზე ვეგეტაცია შეწყვეტილია. თოვლის საფარის გარეშე დარჩენილ ახალაღმოცენებულ ნათესებზე ყინვა წანაზარდის წაწვას გამოიწვევდა.

**მთიან ზონაში** სასოფლო-სამეურნეო კულტურები თოვლის საფარის ქვეშ იმყოფება და დაფისირებული  $-21^{\circ}$  ტემპერატურა ნათესებისათვის საშიში არ არის.



**აღმოსავლეთ საქართველოს** ზამთრის სამოვრებზე საქონლის შენახვისათვის დამაკმაყოფილებელი პირობები იყო.



დანართი



2016 წლის დეკემბრის პირველი დეკადის მეტეოროლოგიური მონაცემები



სადგური	ჰაერის ტემპერატურა C°				მინიმალური ტემპერატურა ნიადაგის ზედაპირზე	ნალექები			ნალექიან დღეთა რიცხვი		დღეთა რიცხვი ქართ 15 მ/წმ და მეტი სიჩქარით	ჰაერის საშუალო დეკადური შეფარდებითი ტენიანობა, %	თოვლის საფარი
	საშუალო დეკადური	გადახრა ნორმიდან	მაქსიმალური	მინიმალური		რაოდენობა მმ	რაოდენობა ნორმიდან %-ში	დღელამური მაქსიმუმი	1 მმ და მეტი	5 მმ და მეტი			
ქობულეთი	5,0	-	12	-3		170	202	34	9	8	6		
ხულო	-1,5	-6,4	-1	-9		110	255	30	7	6			125
ზუგდიდი	2,5	-5,3	8	-5	-6	105	223	25	8	7		87	
ქუთაისი	3,5	-5,4	7	-2	-4	109	231	24	10	7		88	
ზესტაფონი	2,5	-4,5	9	-4		131	272	23	8	6	2		10
საჩხერე	-1,2	-4,5	7	-13		73	243	19	9	6			23
ამბროლაური	-1,8	-4,6	8	-13	-15	78	278	22	10	6		86	20
ხაშური(აგარა)	-1,0	-2,6	6	-16		55	366	14	6	5			28
გორი	-0,3	-2,5	7	-13	-15	31	221	9	4	2	3	87	5
თიანეთი	-2,1	-2,5	4	-14		17	113	9	2	2			
ფასანაური	-3,2	-3,4	2	-16	-23	52	325	23	5	3		72	14
თბილისი	2,9	-1,1	10	-6	-12	9	90	5	2	1	2	78	
საგარეჯო	1,6	-1,5	10	-6		10	67	5	2	1			
დედოფლისწყარო	1,6	-0,3	11	-8		14	155	7	3	2			
თელავი	2,1	-1,7	9	-6	-8	14	127	9	2	2	2	51	
ყვარელი	4,2	0,1	13	-6		20	125	12	2	2			
ლაგოდეხი	4,1	0,1	12	-3		40	222	25	2	2			
ბოლნისი	2,3	-1,4	11	-6	-9	13	144	5	3	1	1	59	
ახალციხე	-4,1	-3,7	3	-21	-19	27	245	8	5	3	1	84	16
წალკა	-9,0	-3,8	2	-15		17	188	7	5	2			17
ახალქალაქი	-6,7	-4,3	4	-21		28	280	9	6	3			19

## აღმოსავლეთ საქართველო





































### დასავლეთ საქართველო




















24 ნოემბერი - 1 დეკემბერი 2016 წელი



**NDVI** (Normalized Difference Vegetation Index) - მცენარეულობის ნორმალიზებული შეფარდებითი ინდექსი, ეს არის ფოტოსინთეზურად აქტიური ბიომასის მარტივი რაოდენობითი მაჩვენებელი (ჩვეულებრივ მას უწოდებენ სპეგეტაციო ინდექსს).

აღნიშნული ინდექსი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ინდექსს და გამოიყენება მცენარეული საფარის რაოდენობრივი შეფასებისთვის.

ობიექტის ტიპი	NDVI-ის მნიშვნელობა
მჭიდრო მცენარეული საფარი	0.7
მეჩხერი მცენარეულობა	0.5
ნიადაგის მოშიშვლებული ზედაპირი	0.025
ღრუბლები	0
თოვლი და ყინული	-0.05
წყალი	-0.25
ხელოვნური მასალები (ბეტონი, ასფალტი)	-0.5

**შენიშვნა:** იმის გამო, რომ შემოდგომით მიმდინარეობს ფოთლების გაყვითლება და ფოთოლცვენა, შესაბამისად არეალში იცვლება NDVI-ის მნიშვნელობა შემცირების მიმართულებით.